მარინე ლომიძე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/spectri.2024.10.01.04

აბსტრაქტი

ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტური თემები მრავალფეროვანია. მწვავე თემებზე დისკუსიის მიუხედავად, როდესაც მწერლის აზრების სიცხადე და შორსმჭვრეტელობა შერწყმულია მოვლენათა არსთან წვდომის უნართან, ის ფლობს ცოდნას ადამიანის ფსიქიკის შესახებ, რაც, პირველ რიგში, ნიშნავს, რომ მკითხველი არ კარგავს უკეთესის იმედს. ჯემალ ქარჩხაძის თხრობის ოპტიმისტური დასკვნები, რომლებიც განასახიერებს სოციალურ გამოცდილებაზე დაფუძნებულ ინდივიდუალობას, რწმენას, ნებას და ინტუიციას, მიგვიყვანს ქმედებებამდე და მიღწევებამდე.

საკვანძო სიტყვები: ჯემალ ქარჩხაძე, ოპტიმიზმი, პუბლიცისტიკა

Abstract

Hopeful Vision of Jemal Karchkhadze

Marine Lomidze, Professor

Technical University of Georgia

Publicistic themes of Jemal Karchkhadze are multiform. Despite the heated discussion on the themes, when the clarity and foresight of the writer's thoughts are combined with the ability to get to the essence of events, he possesses knowledge of the human psyche, which, first of all, means that the reader does not lose hope for the better. The optimistic conclusions of narration of Jemal Karchkhadze, which embody individuality, faith, will, and intuition based on social experience, lead us to actions and achievements.

Key words: Jemal Karchkhadze, optimism, publicism

მშობლები სიცოცხლეს გვჩუქნიან, მასწავლებლები - კეთილ სიცოცხლესო. არისტოტელეს ამ ნათქვამს განვავრცობ: მასწავლებელია, ვისთანაც სწავლის წლები გაატარე და ყველა ის, ვინც ცხოვრების გზაზე შეგხვდა. შეგხვდა და სიყვარულის მეშვეობით გასწავლა, დაგენახა ღრუბლებისგან მოხატული ცა, მოგესმინა ჩიტების გალობა შუაგულ ქალაქში, გულით გეგრძნო წრფელი სიხარულისა და ტკივილის მომგვრელი ცრემლის ისტორია, რომ შენში ადამიანი ესულდგმულებინა. ასეთი მასწავლებელი ჭეშმარიტი პუბლიცისტიკაცაა - ზნეკეთილი ადამიანების ნაფიქრალი. მით უფრო, როცა იგი ცხოვრებისეული გამოცდილებით სავსე მწერლის ნააზრევია, რომელიც გჩუქნის სწორედ იმ კეთილ სიცოცხლეს, ცხოვრების წესი, წინაპართა კვალზე სიარული რომ ჰქვია და რომელსაც შენ უკვე ირჩევ, ან არ ირჩევ საკუთარი გულისთქმით, აზრით, ნებით.

ამიტომ მგონია მნიშვნელოვანი ნიჭიერი ადამიანების მოსაზრებების გაცნობა. ვფიქრობ, უნდა ჩაეჭიდო მათ, რომ გახვიდე ნაპირზე, სადაც მეტი ჟანგბადია ღრმად ჩასასუნთქად, აზრის მოსაკრებად. და ეს იმიტომ, რომ უკეთ გაიგო, საიდან მოდიხარ, საითაა შენი სავალი გზა და რა გინდა, რომ დაგხვდეს ან დაინახო იმ გზის ბოლოს...

ეს პასაჟი არაა იმისთვის, რომ ვინმეს ჭკუა ვასწავლო (ამაზე ფიქრსაც ვერ გავბედავდი!). იგი უფრო საკუთარი თავის დასარწმუნებლადაა, იმ საქმის (ახალი და უახლესი პერიოდის პუბლიცისტური ნააზრევის შესწავლა-გასაჯაროება) გასასიგრძეგანებლად, რასაც ხელი მოვკიდე.

მე ძალიან გამიმართლა, ისევე, როგორც თქვენ. ვართ შვილები იმ ქვეყნისა, რომელსაც მრავლად ჰყოლია „კეთილი სიცოცხლის მჩუქებლები“ - პუბლიცისტი-მასწავლებლები. მათი ნაფიქრალიც მარტო ჩემი და თქვენი საკუთრება ვერ იქნება. უფრო მეტის კუთვნილება უნდა გახდეს ეს სიკეთე და ერთმანეთსაც და კიდევ ბევრ სხვასაც დავეხმაროთ მის მოხმარებაში.

არისტოტელე ამბობს: „იმისთვის კი არ ვმსჯელობთ, რომ ვიცოდეთ რა არის სათნოება, არამედ იმისთვის, რომ კარგი ადამიანები გავხდეთ.“ არადა, დღეს ათასგვარი პრობლემით დამძიმებული ადამიანი ისეა ჩაძირული საკუთარ ფიქრებში, რომ ხშირად სხვა რამეზე საფიქრალად (გულსა და გონებაში) არც დრო რჩება და არც

ადგილი. ვფიქრობ, ახლაა ის დრო, როცა მრავალსახოვანმა კაცობრიობამ სათნოების რაობის გასაგებადაც იმსჯელოს და უკეთესიც გახდეს, რომ ადამიანებმა შევახსენოთ ერთმანეთს კაცთა მოდგმის უპირველესი მოვალეობა - ვიყოთ ადამიანურები. სწორედ ადამიანობისკენ შემობრუნებას, გაადამიანურებას ემსახურება 2014 წელს გამოცემულ წიგნში „ჯემალ ქარჩხაძე. პუბლიცისტიკა“ თავმოყრილი ტექსტები, რომლებშიც ხაზგასმულია თითოეული ჩვენგანის განსაკუთრებულად წარმომჩენი სამი ფაქტორი: მოვალეობის, პასუხისმგებლობისა და ღირსების შეგრძნება, და რომლებსაც ლაიტმოტივად მწერლის ოპტიმიზმი გასდევს.

მწერალმა გამოთქვა შეხედულებები თავისი თანამედროვე ცხოვრების ორომტრიალზე, სურვილსა და სწრაფვაზე. პუბლიცისტ ქარჩხაძის ფილოსოფიურ-ლირიკული მონოლოგების შემცველი ტექსტები დროული იყო მაშინაც და ფასეულია დღესაც. და, რაც არსებითია, ეს ტექსტები მომავლის სახელით დაწერილიც აღმოჩნდა. ამიტომაცაა, რომ წლების შემდეგაც არ კარგავს აქტუალობას.

მწერლის მთავარი პუბლიცისტური სათქმელი ისაა, რომ ადამიანის ზნეობრივი ბუნების დასაბამი, სათავე მისი არსის წარმომავლობაშია. ხასიათი, დამოკიდებულებათა სისტემა, საქციელი არის მიზეზი (გაცნობიერებული, შეიძლება გაუცნობიერებელიც) და საწყისი საკუთარ თავსა და გარესამყაროსთან გონივრული ურთიერთობისა. ადამიანის დანიშნულება უფრო მეტია, ვიდრე გულგატეხილობის ფილოსოფიით სულდგმულობა, რომ ამქვეყნიურ წუხილსაც შეიძლება მოეძებნოს სარგებელი, სურვილისა და მცდელობის პირობებში ის სიხარულადაც შეიძლება ვაქციოთ.

ჯემალ ქარჩხაძის მწერლური პუბლიცისტიკა აღბეჭდილია თვალსაზრისების სიახლისა და სიმწვავის, ვნებათაღელვის სრული გამის წარმოჩენით, სიმართლის ხედვით, საკუთარი არსების სრულად გამოვლენით, სურვილებით, რომლებიც მისი ფასეულობების საზომია.

მიუხედავად თემებზე მწვავე საუბრისა, როდესაც მწერლის აზრის სიცხადე და შორსმჭვრეტელობა შერწყმულია მოვლენების არსის წვდომის უნართან, იგი ფლობს ადამიანის ფსიქიკის ცოდნას, რაც, პირველ ყოვლისა, გულისხმობს იმას, რომ მკითხველს არ დაუკარგოს უკეთესის იმედი.

ჯემალ ქარჩხაძის ნარატივის ოპტიმისტურ დასკვნებს, რომლებიც ინდივიდუალობას, რწმენას, ნებას, სოციალურ გამოცდილებას დამყარებულ ინტუიციას განასახიერებს, მოქმედებისკენ, მიღწევებისკენ მივყავართ. მწერალი დეილ კარნეგის „პოზიტიური აზროვნების გამომუშავების სტრატეგიების“ პრინციპებს ქადაგებს: საკუთარი თავის პატივისცემა, აზრების კონტროლი, ყოველი არსებული რესურსის გამოყენება/ცხოვრების უკეთესობისკენ შესაცვლელად, მიზანზე კონცენტრირება/ შინაგანი მზერით გამარჯვების ხედვა. [1, 122-123]

სოფოკლეს მიაჩნდა, რომ ბევრ ამქვეყნიურ სასწაულს შორის ყველაზე დიდი - ადამიანია. უიმედოდ კი „სასწაულად“ ყოფნა ძნელია.

ჯემალ ქარჩხაძის იმედიანი სტრიქონებია:

„რწმენა - რწმენა სიკეთისა და სიმართლის უზენაესობის - ყოველ ადამიანშია, უბრალოდ, ზოგში უკვე გამჟღავნებულია, ზოგში კი ჯერაც თვლემს. ეს რწმენა ეხმარება ადამიანს იმაში, რომ ცხოველურ საწყისზე ამაღლდეს და გამართულად იაროს.“ [2, 160]

„მალე გლოვის ჟამი გავა და მოქმედების ჟამი დადგება. მწამს და მჯერა, რომ ეს მოქმედება ისეთი იქნება, საქართველოსთვის დაღუპულთა ძეგლებს ყველაზე მაღალ, ყველაზე ნათელ, ყველაზე სპეტაკ კვარცხლბეკს შეუყენებს.“ [2, 48]

„თუმცა პირადად მე მჯერა, რომ მწერლობას ეყოფა ღონე, თავისი ჯვარი თავადვე ზიდოს.“ [2, 51]

„მე ეჭვი არ მეპარება, რომ მრავალი ერთზე დაიყვანება, ხოლო ერთი, როგორც საფუძველთა საფუძველი, არის სიკეთე. არც იმაში მეპარება ეჭვი, რომ „ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია.“ ესეც არ იყოს, რაკი ეს დიალოგი გაიმართა, მაშასადამე, არც თქვენ და არც მე ჯერ იმედი არ გადაგვწურვია (კაცმა რომ თქვას, ეს შეუძლებელიცაა: იმედი მხოლოდ მას შემდეგ მოკვდება, როცა სხვა ყველაფერი უკვე მოკვდა, და სიკეთის რეალური უკვდავების ერთი არაპირდაპირი მოწმობა, ალბათ, ესეცაა).“ [2,112]

„მე იმედი მაქვს, რომ ამას (არ შეიძლება საქართველო გააიგივო რომელიმე პიროვნებასთან - მ.ლ.) ბოლოს და ბოლოს ყველანი შევიგნებთ... [2, 120]

„მაგრამ რაკი გამოსავალი არსებობს, ადრე თუ გვიან ვიპოვით კიდეც.“ [2, 162]

„და ძნელია თქმა, მაგრამ მე მოველი, რომ სუფთა ძალადობის ეტაპიც (დიდი იმედი მაქვს, რომ ხანმოკლე) დაგვიდგება.“ [2,163]

„აღმასვლა ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ ვფიქრობ, ეს დროც შორს აღარ არის.“ [2,164]

„იმედი მაქვს, რომ მაშინ, მომავლის რომელიმე ინტერვიუში გულწრფელად და დარწმუნებით გეტყვიან, 90-იანი წლები უკეთესი გამოდგაო. იმიტომ, რომ ნგრევის პარალელურად ამ უგუნურ წლებში საქართველოს კულტურამ ძლიერი ბიძგიც განიცადა, რამაც აღმავლობა უნდა გამოიწვიოს.“ [2, 164-165]

„...კიდევ ვიმეორებ, დრო გავა, მძიმე წლები ჩათავდება და ქვეყანა ნორმალურ კალაპოტში ჩადგება. მაშინ ყველაფერი, რაც შეიქმნება, თავის ადგილს იპოვის.“ [2, 169]

„არ შეიძლება ასე (მუდამ განსაცდელში ვიყოთ, სულ გადარჩენისთვის ვიბრძოდეთ, საიდანღაც გასვლას და რაღაცისგან თავის დაღწევას ვცდილობდეთ - მ.ლ.) უსასრულოდ გაგრძელდეს, არ შეიძლება - თუ, რა თქმა უნდა, ცოტ-ცოტას ჩვენც ხელს გამოვიღებთ - ადრე თუ გვიან მზიან მინდორზე არ გავიდეთ. ...სიბნელიდან კი, მჯერა, გავალთ. გავალთ იქ, სადაც ღირსეული ადამიანების ადგილია და სადაც არც ერთიმეორისთვის და არც სხვათათვის თვალის გასწორებისა არ შეგვრცხვება. ეს არ არის ფუჭი ფანტაზია. აქეთკენ გვიბიძგებს ჩვენი ისტორიაც და ჩვენი ფარული ნებაც.“ [2, 170-171]

„ეს იქნება იმ დიდი ბრძოლის დასაწყისი, რომელმაც ერის სახე უნდა გადაარჩინოს და რომლის გამოც ოცდამეერთე საუკუნის საქართველომ სიამაყით უნდა თქვას: მეოცე საუკუნის მწერლობამ თავისი ვალი ღირსეულად მოიხადა.“ [2,45]

„...ერთი ცხადია: თუ კაცი სინდისის ხმას არ უღალატებს, მაშინაც მართალი იქნება, როცა ცდება, ვინაიდან, ვინც გულწრფელად ცდება, ის სიმართლეს ადრე თუ გვიან იპოვის.“ [2,181]

„მჯერა დემოკრატიის გამარჯვებისა...“ [2,119]

„მე, რა თქმა უნდა, იმას არ ვვარაუდობ, რომ ბოლოს ყველას ფრთები გამოგვესხმება და ანგელოზებად ვიქცევით, მაგრამ ის კი მჯერა, რომ შეფარდება მალე მკვეთრად შეიცვლება. ...შეფარდების შეცვლაში ვგულისხმობ ჭეშმარიტ დემოკრატიულობას, რაც პატიოსნების უმთავრესი საწინდარია.“ [2, 43]

„დღეს დედამიწაზე უამრავი გაუგებარი, უაზრო, აბსურდული მკვლელობა ხდება, რომლებიც ცოცხლად დარჩენილთათვის მხოლოდ შიშველი სტატისტიკაა, გულსა და გონებაში კი კვალს თითქმის არ ტოვებს. ეს არის სიყვარულის კრიზისი. ადამიანს სიყვარულის მარაგი შემოაკლდა და ამ მარაგის შესავსებად კვლავ ის წმინდა ზარდახშა უნდა გახსნას, რომელშიაც წერია: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.

დარწმუნებული ვარ, ასეც იზამს.“ [2, 46]

„დიახ, მე ჯერ კიდევ იმ ილუზიის ტყვეობაში ვარ, რომ, თუ ჩვენი ყველა ნაკლი გავაცნობიერეთ, მათი აღმოფხვრის გზასაც დავადგებით.“ [2, 111]

ინტუიციური შემეცნება ადამიანის შემეცნებითი აქტივობის უმაღლესი ფორმაა და მისი ერთ-ერთი გამოვლინება სწორედ მხატვრულ-ესთეტიკური პარადიგმაა. ქარჩხაძის აზრით, პროზაიკოსი „...წერის პროცესში, როცა ლოგიკა უკანა პლანზე გადადის და ასპარეზს ინტუიციას უთმობს, ისეთ შემოქმედებით გრიგალებში მოხვდება, რომ მისი პირველსახიდან ძალიან ცოტა რამ თუ გადარჩება შეუცვლელი და ხელუხლებელი.“ [2, 208]

სამყაროს შემეცნების ნიჭი ქარჩხაძისათვის არის უკიდეგანო სინათლის სხივი, რომელიც მკითხველისთვის ერთგვარი გზამკვლევია და რომელსაც უნდა ასაზრდოებდეს აზრი, რომ უფრო მეტი იყოს იმედების სიყვარული, ვიდრე მოგონებებისა; რომ ბედნიერება ადამიანშია - ბოროტისა და კეთილის მუდმივ ჭიდილში უნდა მოიძიოს იგი და აუცილებლად იპოვის.

მწერლის პუბლიცისტიკის მკვებავი (ფესვი) სიყვარულია. ამ სიყვარულის მარაგი ულევია. მისი მთავარი გზავნილიც ასე მესმის: როცა გული სიყვარულით სავსეა, სიკეთეს ქმნი. მწერალი თავისი სიყვარულის მარაგს გვინაწილებს, როგორც განძს. თუ ამ განძის სულიერი ენერგია უძლეველ პოზიტიურ ძალად გვექცევა, მაშინ უთვალავ სასიკეთო საქმეს დაიტევს და გაგვაბედნიერებს კიდევაც!

არჩევანი ჩვენზეა!..

ჯემალ ქარჩხაძის ნარატივის ლოგიკის კულმინაცია ღრმად შინაარსიანია. იგი მხოლოდ მოცემული დროისა და კონკრეტული საზოგადოების ანარეკლი როდია. სამყაროს არსისა და განვითარების კანონზომიერების ცოდნით გაჯერებული მსჯელობებით მწერალი-პუბლიცისტი თავისი ხასიათით, მრწამსითა და, თუ

გნებავთ, განათლებითაც ფილოსოფოსია - სიბრძნის მოყვარულია. მაინც მგონია, რომ მან საკუთარ თავში გაუგო როგორც ადამიანს, ისე მწერალსა და პუბლიცისტსაც და ამით „ჩემში არსებულ კითხვებსაც“ გასცა პასუხი.

იშვიათია კაცი, ადამიანი, ვისაც თავისი ქვეყანა ასე უყვარს და ასე „სტკივა“ მისი საფიქრალ-საზრუნავი, საწუხარი; ვინც თხემით ტერფამდე შეიგრძნობს ინტელიგენტურობას; ვისაც ასეთი უსაზღვრო პასუხისმგებლობა აქვს საყვარელი საქმის კეთებისას.

და ეს ყოველივე ჩემს არსებაში ამძაფრებს განცდას, რომ ეს ტექსტები არის ფიქრის, გამოცდილების გზა. და, რაც ასე არსებითია, მიბაძვის გზა, ჩახედო საკუთარ თავს თვალებში და სწორედ საკუთარი თავის წინაშე იყო მართალი, უწინარესად...

მინდა, ამ გზაზე იყოს მშვიდობა, სიხარული და წარმატება!

ლიტერატურა

1. დეილ კარნეგი. როგორ გავხადოთ ცხოვრება იოლი და საინტერესო. გამომცემლობა „პეგა“, თბილისი, 2016.
2. ჯემალ ქარჩხაძე. პუბლიცისტიკა. „ქარჩხაძის გამომცემლობა,“ 2014.